სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქალაქეების რეგისტრაციის და დახმარების მიმღებთა რაოდენობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ სერვის ცენტრის ბაზაში სულ დარეგისტრირებულია 3407ოჯახი. მათ შორის:

· 0-დან 30 000 -მდე - 111

· 30 001 – 57 000 – 380

· 57 001 – 60 000 – 68

· 60 001 – 65 000 – 107

· 65 001 – 100 000 -1250

· 100 001 – 200 000 – 1336

· 200 001-დან - 155

აქედან დაახლოებით 1916 ოჯახი არის მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები.

სერვის ცენტრში ყოველდღიურად შემოდის ბაზაში დასარეგისტრირებლად 5-10 განაცხადი. განცხადების შემოტანის უფლება აქვს ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან წევრს. სერვის ცენტრში განცხადების შემოსვლიდან 1 თვის ვადაში სოციალური აგენტი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში შემოწმების მიზნით. დეკლარაციის შევსებიდან 1 თვის ვადაში ითვლება პროგრამულად და ისახება ბაზაში სარეიტინგო ქულა.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ გადააჭარბებს 30 000-ს, ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება 60-60 ლარი. ე.ი 5 სულიან ოჯახს 5*60=300ლ. გარდა ამისა, თუ ოჯახს ყავს 16 წლამდე ბავშვი, ოჯახი დამატებით მიიღებს კიდევ 200 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 30 000 ქულიდან 57 000 ქულამდე, მაშინ ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება სოციალური დახმარება 50 ლარის ოდენობით. 57 000 - დან 60 000 -მდე ოჯახის თითოეულ წევრზე დახმარება 40 ლარია, ხოლო 60 000 დან 65 000 ოჯახის თითოეული წევრი მიიღებს 30 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა იქნება 65 000 დან 120 000 ფარგლებში და ოჯახში არის 16 წელს მიუღწეველი ბავშვი, ოჯახს დაენიშნება ყოველთვიური 200 ლარიანი ფულადი დახმარება ბავშვის 16 წლის შესრულებამდე.

ოჯახის ხელმეორედ გადამოწმება ხდება ოჯახის სრულწლოვანი წევრის სერვის ცენტრში შემოტანილი განაცხადის ან სათაო ოფისის მიერ გადმოგზავნილი სიის საფუძველზე. დარეგისტრირებული ოჯახების ხელმეორედ გადამოწმება შეიძლება დარეგისტრირებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ. 1 წლის გასვლამდე განმეორებითი რეგისტრაცია შეიძლება ოჯახში დემოგრაფიული ცვლილების, შემოსავლის წყაროს

დაკარგვის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების, საცხოვრებელი მისამართის შეცვლის საფუძველზე, ან 2015 წლის 22 მაისის N 01-14/ნ ბრძანებაში მითითებული დიაგნოზის მიხედვით შევსებული ფორმა N100-ის საფუძველზე.

სერვის ცენტრში ოჯახის დარეგისტრირებისას არ აქვს მნიშვნელობა ოჯახი ან ოჯახის რომელიმე პირი სად არის დარეგისტრირებული, მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ პიროვნების ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის მიხედვით ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიანობის სტატუსი და ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში, აქვს უფლება მიიღოს ფულადი დახმარება 100 ლარი პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის შესრულებამდე. ხოლო მე-3 და შემდგომ ბავშზე კი 200 ლარი 2 წლის ვადით.

300 ლარიან დასაქმების პროგრამაში შედიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც სოციალური პროგრამის მიხედვით მინიჭებული აქვთ 65 000-მდე ქულა და ღებულობენ სოციალურ დახმარებას.

სოციალური დასაქმების პროგრამაში არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც პროგრამის მიერ მინიჭებული აქვთ 65 000 – 120 000 -მდე ქულა და ყავთ 16 წლამდე შვილები და ღებულობენ დახმარებას.